# ხელშეკრულება 02/153
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 29.03 2011წ.

შპს *„მაგთიკომი“*, შემდგომში მოხსენიებული როგორც „მაგთიკომი“, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის პაატა სულაბერიძის სახით შემდგომში მოხსენიებული, როგორც *„დამკვეთი“* ვმოქმედებთ რა საქართველოს მთავრობასა და შპს „მაგთიკომ“-ს შორის 2007 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება იდება ერთიანი სამთავრობო ქსელის შექმნის მიზნით, თანახმად საქართველოს მთავრობასა და შპს „მაგთიკომ“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმისა (შემდგომში „მემორანდუმი“), მისი დანართების და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის №408 განკარგულებისა.

1.2 *მაგთიკომი* უზრუნველყოფს *დამკვეთის* სისტემის სტრუქტურული ერთეულების (შემდგომში "სტრუქტურული ერთეულები") ერთიან სამთავრობო ქსელში ჩართვას და სხვა თანმდევი მომსახურებების გაწევას. მომსახურებების დასახელება და აღწერა (არხების რაოდენობა, მოცულობა და მიმართულებები) მითითებულია დანართ №1-ში.

1.3 საქართველოს მთავრობასა და შპს „მაგთიკომ“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში მაგთიკომი უზრუნველყოფს დამკვეთის მიერ მითითებულ და წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში მოცემულ დამკვეთის სტრუქტურული ერთეულების ტერიტორიაზე საჭირო აპარატურის მონტაჟს.

1.4 დამკვეთი უზრუნველყოფს მაგთიკომის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობისათვის ფართის გამოყოფას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჭირო ნებართვის გაცემას.

1.5 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მაგთიკომის მიერ მიწოდებული და მის მიერ დამკვეთის ტერიტორიაზე დამონტაჟებული, თუ დამკვეთისათვის გადაცემული აღჭურვილობა წარმოადგენს მაგთიკომის საკუთრებას. ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან მისი ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნული აპარატურა უბრუნდება მაგთიკომს.

1.6 1.5. მუხლიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის აღჭურვილობა, რომელიც გათვალისწინებულია მემორანდუმით და მაგთიკომს გადაეცემა მთავრობის მიერ სამთავრობო ქსელის მშენებლობისათვის.

1.7 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, არსებული წერტილების ადგილმდებარეობები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №2-ში.

1.8 ამ ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი მომსახურების მიწოდებისას, მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

## 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებანი

2.1 *"დამკვეთი"* ვალდებულია:

2.1.1 საკუთარებაში (მფლობელობაში) არსებული ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს I მუხლში აღნიშნული კავშირის ინტერფეისი *"მაგთიკომის"* აღჭურვილობასთან, სადაც განლაგებეულია აპარატურა. თუ ამ დროს ან შემდგომში დადგინდა, რომ *"დამკვეთის"* მიზეზით დაზიანდა *"მაგთიკომის"* აპარატურა, *„დამკვეთი"* ვალდებულია აუნაზღაუროს *"მაგთიკომს"* მიყენებული ზიანი.

2.1.2 არხით სარგებლობისას და მოწყობილობების განთავსებისას მკაცრად დაიცვას მწარმოებლის მიერ დადგენილი აღჭურვილობის ექსპლუატაციის ტექნიკური ნორმები, რომელიც დამკვეთს გადაეცემა მაგთიკომის მიერ აღჭურვილობის დამონტაჟების დროს, თუ მხარეები ხელშეკრულების ამ პუნქტისაგან განსხვავებულ წესზე არ შეთანხმდნენ.

2.1.3 ხელი შეუწყოს და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, დახმარება აღმოუჩინოს მაგთიკომს ქსელის მშენებლობის პროცესში.

2.1.4 განახორციელოს მაგთიკომის მიერ დამკვეთისათვის გადაცემული აპარატურის მოვლა და დაცვა.

2.1.5 წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინოს მაგთიკომს კონკრეტული წერტილის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ.

2.1.6 დროულად აწარმოოს ანგარიშსწორება მაგთიკომთან.

2.1.7 გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხადოს მაგთიკომს პირგასამტეხლო არ გადახდილი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

2.2 "მაგთიკომი" ვალდებულია:

2.2.1 უზრუნველყოს თავისი ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და დროულად აღმოფხვრას შეფერხებები;

2.2.2 უზრუნველყოს *დამკვეთისათვის* კავშირის უზრუნველყოფისათვის საჭირო აპარატურის გადაცემა.

2.2.3 უზრუნველყოს დანართში ჩამოთვლილი მომსახურებებით უზრუნველყოფა, ასევე არხების მიმართულებებით *დამკვეთის* სტრუქტურულ ერთეულებს შორის კავშირი და მისცეს საშუალება *დამკვეთს* უზრუნველყოს *მაგთიკომის* აღჭურვილობის ინტერფეისი საკუთარ მოწყობილობებთან.

2.2.4 აპარატურისა და მოწყობილობების დამკვეთთან განთავსებისას გაითვალისწინოს განთავსების ადგილისა და პირობების შესაბამისობა

მათი მწარმოებლის მიერ დადგენილ ექსპლუატაციის ტექნიკურ ნორმებთან;

2.2.5 უზრუნველყოს არხების შესაბამისობა ტექნიკურ ნორმებთან და პარამეტრებთან ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში;

2.2.6 მემორადნუმით გათვალისწინებული წერტილების ჩართვა განახორციელოს, მემორანდუმის დანართით გათვალისწინებული წერტილების ჩართვის გრაფიკის შესაბამისად, ხოლო გრაფიკით განსაზღვრული წერტილების ჩართვის ვადის გასვლის შემდგომ, ყოველი ახალი წერტილის ჩართვა მოახდინოს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით;

2.2.7 ქსელის ფუნქციონირების/კავშირის შეწყვეტის ვადა აითვლება ხელშეკრულების დანართი №4–ით დადგენილი წესით მისი დაფიქსირების მომენტიდან.

2.2.8 2.1.5 პუნქტის მიხედვით მიღებული შეტყობინების საფუძველზე დაუყოვნებლივ მოახდინოს კონკრეტული წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილას დანართ №3-ში მითიებული ტარიფის შესაბამისად.

2.2.9 წინასწარ, ერთი დღით ადრე შეატყობინოს დამკვეთს ქსელზე ტექნიკური ან რაიმე სხვა სახის სამუშაოს ჩატარების შესახებ.

2.2.10 პრობლემების წინასწარ გამოვლენის და ქსელის და აპარატურის გამართული ფუნქციონირების მიზნით, აწარმოოს ქსელის მუდმივი მონიტორინგი და უზრუნველყოს მასზე დამკვეთის წვდომა მისთვის განკუთვნილი უფლებებით.

2.2.11 მაგთიკომი ვალდებულია ქსელის ან ტექნიკური მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში გამომწვევი მიზეზებისა და მხარეთა ბრალეულობის გარკვევამდე საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას გაუმართავობა.

2.3 *დამკვეთის* თანამშრომლებს უფლება არა აქვთ შეცვალონ ან სხვაგვარად მოახდინონ პარამეტრების მოდიფიცირება *მაგთიკომის* აღჭურვილობაზე წინასწარი შეტყობინების და ამ უკანასკნელის წარმომადგენელების თანდასწრების გარეშე.

## 3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 7 503.03 (შვიდიათას ხუთას სამი ლარი და 3 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო თვეში მომსახურების ღირებულება შეადგენ 833.67 (რვაასოცდაცამეტი ლარი და სამოცდაშვიდი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, გაწეული მომსახურებების უზრუნველოყოფის დეტალური საფასური თვეში განისაზღვრება დანართი №3-ში მოცემული განფასებებით ლარებში, დღგ-ს ჩათვლით.

3.3 მომსახურების უზრუნველყოფის საფასურს, დანართებში მითითებული მიმართულებების და ფასების მიხედვით, "დამკვეთი" გადაუხდის

*მაგთიკომს,* საანგარიშო თვის მომდევნო თვეს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10(ათი) საბანკო დღეში.

3.4 მაგთიკომი იღებს ვალდებულებას აწარმოოს ერთიან სამთავრობო ქსელში ჩართული მომხმარებლების აღრიცხვა და მოახდინოს ანგარიშ-ფაქტურების გამოწერა მომხმარებლების რაოდენობიდან გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №3 მოცემული ტარიფების ცვლილებების გათვალისწინებით.

3.5 ფასების ნებისმიერი სახის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მემორანდუმით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.6 მომსახურების მიღებას აწარმოებს და ადასტურებს, ასევე ცონტროლს განახორციელებს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენრტის უფროსი დავით მიქაძე.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2 გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად მოშალონ ეს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე სისტემატურად (არაერთხელ) არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულების მოშლას, 2 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მაგთიკომი არ არის პასუხისმგებელი დამკვეთისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ და შესაძლო ზარალზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, გარდა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისა.

5.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. ასეთ შემთხვევაში მხარეები სამი დღის ვადაში აცნობებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს. რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით.

## 6. დავის გადაწყვეტა

სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული მაშინ მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

## 7. დასკვნითი დებულებები

7.1 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის მემორანდუმის რომელიმე მუხლთან ან მის დანართებთან, უპირატესობა ენიჭება მემორანდუმს და მის დანართებს.

7.2 ამ ხელშეკრულების კომერციული ხასიათის პირობები (წერტილების განლაგება, ქსელის ტოპოლოგია და სხვა) კონფიდენციალურია მესამე პირთათვის, ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

7.3 მომსახურების სახეების, ისევე, როგორც არხების რაოდენობის და მათი მიმართულებების და ვადების ცვლილება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, ამ შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შედის ხელშეკრულების დანართში. აღნიშნულ შემთხვევაში, დამკვეთი წერილობით ატყობინებს მიმწოდებელს და აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის მიმწოდებლის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ.

7.4 ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ერთი – შემსრულებელს. ორივე პირს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

## 8. მხარეები

"*მაგთიკომი*"
ქ. თბილისი,
პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ს.ს. "ვითიბი ბანკი ჯორჯიას"
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE73VT6600000000423607,
კოდი: UGEBGE22

შ.პ.ს. "მაგთიკომის"
გენერალური დირექტორის
მოადგილე

/გია კოშორიძე/

„შემსყიდველი"

საქართველოს სასჯელაღსრულების,
პრობაციისა და იურიდიული დახმარების
საკითხთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900; ს/კ №204564934

მინისტრის პირველი მოადგილე

/ პაატა სულაბერიძე /

*დანართი 1*

*შპს მაგთიკომსა და და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შორის 2011 წლის 29 მარტის ხელშეკრულებაზე*

| # | ქალაქი | მისამართი | მომსახურება | სიჩქარე კბ/წმ | ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | გორგასლის III შესახვევი #9 | IP კავშირი | 256 კბ/წმ | 163.84 |
| 2 | ქუთაისი | სადგურის მ. #3 | IP კავშირი | 256 კბ/წმ | 196.61 |
| 3 | ზუგდიდი | ცოტნე დადიანის #9 | IP კავშირი | 256 კბ/წმ | 196.61 |
| 4 | ბათუმი | ჯავახიშვილის ქ. #70 | IP კავშირი | 256 კბ/წმ | 196.61 |
| 5 | VPN ქსელის მხარდაჭერის/მართვის სერვისი 4 წერტილზე | | | | 80 |
| 6 | | | | 1 თვე | 833.67 |
| 7 | | | | სულ 9 თვე | **7503.03** |

შ.პ.ს. "მაგთიკომის"

გენერალური დირექტორის მოადგილე

/გია კოშორიძე/

მინისტრის პირველი მოადგილე

/ მამუკა სულაბერიძე /

## დანართი 2

შპს მაგთიკომსა და და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შორის 2011 წლის 29 მარტის ხელშეკრულებაზე

| # | ქალაქი | მისამართი | მომსახურება | მომსახურება |
|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | გორგასლის III შესახვევი #9 | IP კავშირი | 256 კბ/წმ |
| 2 | ქუთაისი | სადგურის მ. #3 | IP კავშირი | 256 კბ/წმ |
| 3 | ზუგდიდი | ცოტნე დადიანის #9 | IP კავშირი | 256 კბ/წმ |
| 4 | ბათუმი | ჯავახიშვილის ქ. #70 | IP კავშირი | 256 კბ/წმ |

შ.პ.ს. "მაგთიკომის"
გენერალური დირექტორის
მოადგილე

/გია კოშორიძე/

მინისტრის პირველი მოადგილე

/ბაატა სულაბერიძე/

## დანართი 3

*შპს მაგთიკომსა და და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შორის 2011 წლის 29 მარტის ხელშეკრულებაზე*

### ტარიფები

თბილისში განთავსებული მომხმარებლებისთვის

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 150-250 ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 128.00 | 1.00 |
| 2 | 256 კბ/წმ | 204.80 | 0.80 |
| 3 | 512 კბ/წმ | 307.20 | 0.60 |
| 4 | 1 მბ/წმ | 358.40 | 0.35 |
| 5 | 2 მბ/წმ | 409.60 | 0.20 |

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 251-350 ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 115.20 | 0.90 |
| 2 | 256 კბ/წმ | 184.32 | 0.72 |
| 3 | 512 კბ/წმ | 276.48 | 0.54 |
| 4 | 1 მბ/წმ | 322.56 | 0.32 |
| 5 | 2 მბ/წმ | 368.64 | 0.18 |

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 351-და მეტი ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 102.40 | 0.80 |
| 2 | 256 კბ/წმ | 163.84 | 0.64 |
| 3 | 512 კბ/წმ | 245.76 | 0.48 |
| 4 | 1 მბ/წმ | 286.72 | 0.28 |
| 5 | 2 მბ/წმ | 327.68 | 0.16 |

მაგისტრალური კაბელის გასწვრივ არსებული რეგიონებში განთავსებული მომხმარებლებისთვის

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 150-250 ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 153.60 | 1.20 |
| 2 | 256 კბ/წმ | 245.76 | 0.96 |
| 3 | 512 კბ/წმ | 368.64 | 0.72 |
| 4 | 1 მბ/წმ | 430.08 | 0.42 |
| 5 | 2 მბ/წმ | 491.52 | 0.24 |

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 251-350 ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 138.24 | 1.08 |
| 2 | 256 კბ/წმ | 221.18 | 0.86 |
| 3 | 512 კბ/წმ | 331.78 | 0.65 |
| 4 | 1 მბ/წმ | 387.07 | 0.38 |
| 5 | 2 მბ/წმ | 442.37 | 0.22 |

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 351-და მეტი ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 122.88 | 0.96 |
| 2 | 256 კბ/წმ | 196.61 | 0.77 |
| 3 | 512 კბ/წმ | 294.91 | 0.58 |
| 4 | 1 მბ/წმ | 344.06 | 0.34 |
| 5 | 2 მბ/წმ | 393.22 | 0.19 |

სხვა დანარჩენ რეგიონებში განთავსებული მომხმარებლებისთვის

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 150-250 ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 192.00 | 1.50 |
| 2 | 256 კბ/წმ | 307.20 | 1.20 |
| 3 | 512 კბ/წმ | 460.80 | 0.90 |
| 4 | 1 მბ/წმ | 537.60 | 0.53 |
| 5 | 2 მბ/წმ | 614.40 | 0.30 |

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 251-350 ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 172.80 | 1.35 |
| 2 | 256 კბ/წმ | 276.48 | 1.08 |
| 3 | 512 კბ/წმ | 414.72 | 0.81 |
| 4 | 1 მბ/წმ | 483.84 | 0.47 |
| 5 | 2 მბ/წმ | 552.96 | 0.27 |

*ტარიფი ერთიან სამთავრობო ქსელში 351-და მეტი ჩართული წერტილის შემთხვევაში*

| | შიდა ქსელის ტრაფიკის მინიმალური სიჩქარე | თვიური ტარიფი სიმეტრიული | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 1 | 128 კბ/წმ | 153.60 | 1.20 |
| 2 | 256 კბ/წმ | 245.76 | 0.96 |
| 3 | 512 კბ/წმ | 368.64 | 0.72 |
| 4 | 1 მბ/წმ | 430.08 | 0.42 |
| 5 | 2 მბ/წმ | 491.52 | 0.24 |

გარე კავშირი (ინტერნეტი):
ტარიფები მოცემულია ლარებში, დღგ-ს ჩათვლით. შემოთავაზებული ტარიფები ერთიანი რეგიონის მიუხედავად.

| ინტერნეტ ტრაფიკის სიჩქარე კბ/წმ-ში | შემოთავაზებული თვიური ტარიფი დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|
| 64 კბ/წმ | 50 |
| 128 კბ/წმ | 100 |
| 256 კბ/წმ | 200 |
| 512 კბ/წმ | 400 |
| 1 მბ/წმ | 750 |
| 2 მბ/წმ | 1,500 |
| 3 მბ/წმ | 2,250 |
| 4 მბ/წმ | 3,000 |
| 5 მბ/წმ | 3,750 |
| 6 მბ/წმ | 4,500 |
| 7 მბ/წმ | 5,250 |
| 8 მბ/წმ | 6,000 |
| 9 მბ/წმ | 6,750 |
| 10 მბ/წმ | 7,000 |
| 11 მბ/წმ | 7,700 |
| 12 მბ/წმ | 8,400 |
| 13 მბ/წმ | 9,100 |
| 14 მბ/წმ | 9,800 |
| 15 მბ/წმ | 9,750 |
| 16 მბ/წმ | 10,400 |
| 17 მბ/წმ | 11,050 |
| 18 მბ/წმ | 11,700 |
| 19 მბ/წმ | 12,350 |
| 20 მბ/წმ | 12,000 |
| 30 მბ/წმ | 16,500 |
| 40 მბ/წმ | 20,000 |
| 50 მბ/წმ | 22,500 |

მხარდაჭერის სერვისის უზრუნველყოფა

VPN ქსელის მართვის სერვისის ყოველთვიური ღირებულება ერთი წერტილისთვის განისაზღვრება 20 ლარით, დღგ-ს ჩათვლით

| წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი ახალ ადგილას | ტარიფი |
|---|---|
| ერთი წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი | 500 |

*ტარიფები მოცემულია ლარებში, დღგ-ს ჩათვლით*

შ.პ.ს. "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე

/გია კოშორიძე/

მინისტრის პირველი მოადგილე

/ნატა ხელაბერიძე/

*დანართი 4*
*შპს მაგთიკომსა და*
*შორის 2010 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულებაზე*

ქსელის ფუნქციონირების/კავშირის შეწყვეტის ან ამ ქსელთან დაკავშირებული სხვა პრობლემების დაფიქსირების პროცედურა

მაგთიკომის მიერ დამკვეთისათვის გაწეული მომსახურების ფარგლებში ნებისმიერი სახის ინციდენტის წარმოშობის შემთხვევაში, დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენელი უკავშირდება მაგთიკომის შესაბამის საოპერატორო სამსახურს და აწვდის ინფორმაციას წარმოშობილი ინციდენტის შესახებ. მაგთიკომი თავის მხრივ, ინციდენტის არსებობის შემთხვევაში, უდასტურებს რა დამკვეთს ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიღებას, გადასცემს მას ინციდენტის უნიკალური კოდს.
მაგთიკომის წარმომადგენელი უკავშირდება დამკვეთს, მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებულ სატელეფონო ნომერზე და იმავდროულად უგზავნის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ინფორმაციას ინციდენტის სტატუსის შესახებ. ტელ 895 15 13 13 (ნიკოლოზ დავითაშვილი)

შ.პ.ს. "მაგთიკომის"
გენერალური დირექტორის
მოადგილე

/გია კოშორიძე/

მინისტრის პირველი მოადგილე

/მაკა სულაბერიძე/

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

*ვიზირებულია:*

2011 წლის 29.03

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ №2/153 ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მინისტრის პირველი მოადგილე ______ ბ. სულაბერიძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ______ ა. ჯებისაშვილი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ______ დ. მიქაძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ______ გ. გორაძე

შესყიდვების სამმართველოს უფროსი ______ ლ.მაღლაკელიძე

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი ______ ე.ალიმბარაშვილი